სიცოცხლის უფლება არის დამცავი უფლება. იგი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას, აგრეთვე, ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომელსაც აშკარად ადამიანის სიკვდილი მოჰყვება.

სიცოცხლე „...არის ისეთი სიკეთე, რომელიც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს“

(საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება).

(მუხლი 10)

კანონით სიცოცხლის დაცვა, რისთვისაც მან უნდა განსაზღვროს:

- სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- შრომის უსაფრთხოების რეგულირება;
- ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები;
- ძალის გამოყენების ინსტრუქციები.



სიცოცხლის უფლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება

- სიცოცხლისთვის საფრთხის თავიდან აცილება (საკმარისი ღონისძიებების დოქტრინა - არა მხოლოდ ძალადობა, არამედ გარემოს უსაფრთხოებაც);
- პატიმრების სიცოცხლის უფლება (ნებისმიერ ლეტალურ შედეგზე მტკიცების ტვირთის სახელმწიფოზე დაკისრება) - მოშიმშილე პატიმრები და იძულებითი კვება;
- მკვლელობის გამოძიება.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - ადამიანის სიცოცხლის დაცვა ხელყოფისაგან

- სასიკვდილო ძალის გამოყენება ,, აბსოლუტური აუცილებლობის” პირობებში - სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი ვითარების განეიტრალება;
- არამართლზომიერი ძალადობისგან დაცვა;
- ავანყების ჩახშობა;
- დაკავება ან დაკავებულის გაქცევა - სიცოცხლის ან სხვა სერიოზული ზიანის აშკარა, პირდაპირი და რეალური საფრთხე.

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება

სიკვდილით დასჯა

- საქართველოში სიკვდილით დასჯა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს 1997 წლის 11 ნოემბერს;
- ევროპის საბჭომ მე-13 დამატებითი ოქმით 2002 წელს აკრძალა სიკვდილით დასჯა;
- მე-13 დამატებით ოქმს რატიფიცირება საქართველომ 2003 წელს გაუკეთა;
- სიკვდილით დასჯა საქართველოში კონსტიტუციით გაუქმდა 2006 წლის 27 დეკემბერს.

სიკვდილით დასჯა

ემბრიონის (ფეტუსის) სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება აბორტის სრულ აკრძალვას მოითხოვს.

„ფეტუსად“ განიხილება ადამიანის ნაყოფი 8 კვირის ასაკიდან.

სიცოცხლის უფლებას არ გააჩნია ნეგატიური ასპექტი - სიცოცხლეზე უარის თქმის , ან სიკვდილის უფლება.

სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს არა მარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას (ნეგატიური ვალდებულება), არამედ იმავდროულად აკისრებს მას პოზიტიურ ვალდებულებას, აქტიურად დაიცვას ადამიანის სიცოცხლე სხვა პირთა მხრიდან მომდინარე საფრთხისაგან.

სიცოცხლის უფლების სუბიექტი - ემბრიონი (ფეტუსი) ჩანასახს განვითარების პირველი 8 კვირის განმავლობაში ეწოდება „ემბრიონი“, ხოლო შემდგომ დაბადებამდე – „ფეტუსი“

ადამიანს არ აქვს საკუთარი სიცოცხლის განარგვის, ანუ სიცოცხლეზე უარის თქმის უფლება, ანუ სიცოცხლის უფლებას არ გააჩნია ნეგატიური ასპექტი - სიცოცხლეზე უარის თქმის, ანუ სიკვდილის უფლება.

„სიკვდილის თავისუფლება“ ეფუძნება მოსაზრებას, რომ ადამიანის სიკვდილი არის ადამიანის ცხოვრების ბუნებრივი გაგრძელება (ადამიანის თხოვნით მისი სიკვდილის დაჩქარება)

ევთანაზია - „მკვლელობა სიბრალულით“ (პასიური და აქტიური)

ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 კვ;

ბ)ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია 3 დღის მოსაფიქრებელი ვადა,

ორსულობის შეწყვეტა (აბორტი)

ეთიკური ჩვენება - ორსულობა წარმოშობილია დანაშაულებრივი ჩარევის (გაუპატიურების) შედეგად;

ევგენური ჩვენება - არსებობს ავადმყოფი, ფიზიკური ნაკლის მქონე ახალშობილის დაბადების საშიშროება.

ეთიკური და ევგენური ჩვენებები

დამცავი უფლებაა და იცავს ადამიანის სხეულს ფიზიკური დაზიანებისაგან, ასევე ნებისმიერი სახის (მათ შორის ფსიქოლოგიური) ზემოქმედებისაგან, რომელიც იწვევს ტკივილს ან სხეულის თვისებების ცვლილებას და ამით უთანაბრდება ფიზიკურ დაზიანებას

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება

ადამიანს აქვს საკუთარი სურვილისამებრ თავისუფლად და უსაფრთხოდ ფიზიკური გადაადგილების უფლება. ადამიანის თავისუფლება პიროვნების დამცავი ძირითადი უფლებაა, იცავს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას.

გულისხმობს ადამიანის „უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით

(სსს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ , 6 აპრილი, 2009).

თავისუფლების ძირითადი უფლება

„ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა - თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას“

(სსს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ , 6 აპრილი, 2009).

თავისუფლების ძირითადი უფლება

კონსტიტუციური წინაპირობები „იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლო თვითნებობისაგან“

(სსს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ , 6 აპრილი, 2009).

უმთავრესი წინაპირობაა სასამართლოს გადაწყვეტილება, დამატებითი წინაპირობაა - ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით განსაზღვრული წესით.

„საკანონმდებლო ზღვარი;

კანონის არსებობის აუცილებლობის ზღვარი;

კონსტიტუციური ზღვარი.

ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება

შეზღუდვის სახეებია:

ბრალდებულის დაკავება და წინასწარ პატიმრობა,

გირაო,

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ,

პირადი თავდებობა,

სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა (სსსკ მ.199, ნაწ.1);

არასრულწლოვანის მეთვალყურეობაში გადაცემა (ამკ მ.60, ნაწ.1)



თავისუფლების „შეზღუდვა“

თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია:

- მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით;

- მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

- კანონით ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ;

- პირი მისი დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს სასამართლოს;

- სასამართლომ დაკავების, დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პირის სასამართლოში წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა;

- პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი;

- დაკავების ან დაპატიმრებსთანავე უზრუნველყოფილი უნდა იქნას დამცველის დახმარება;

- წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

თავისუფლების აღკვეთა (ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე ინტენსიური ფორმა)

„ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის უმთავრესი კონსტიტუციური მიზანია პირის მიმართ, რომელმაც სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული, **მართლმსაჯულების განხორციელება ...** პირის დაკავება იმ დროს, როდესაც სახეზე არ არის დანაშაული, არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას“

(სსს გადაწყვეტილება საქმეზე „ საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ, 6 აპრილი, 2009).



თავისუფლების ძირითად უფლებაში ჩარევას ყოველთვის უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი

- რა საჯარო მიზანი აქვს სახელმწიფოს მოქმედებას;

- არის თუ არა ადამიანის დაკავება მიზნის მისაღწევად საჭირო, სათანადო ღონისძიება;

- არსებობს თუ არა მიზნის მისაღწევად სხვა ადამიანის დაპატიმრებაზე უფრო ნაკლებად რადიკალური საშუალება, ანუ აუცილებელია თუ არა მიზნის მისაღწევად პირის წინასწარ პატიმრობაში აყვანა;

- არის თუ არა სახელმწიფოს მოქმედება (ადამიანის დაპატიმრება - ადამიანის თავისუფლებით დაცულ სფეროში ყველაზე მძიმე ჩარევა) ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.



დაკავებული პირის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ უნდა განსაზღვროს:

„პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კომსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას“

(სსს გადაწყვეტილება საქმეზე „ საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელეიშვილი და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 29 იანვარი, 2003).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება

პატიმრობის 9 თვიანი ვადა მოიცავს პერიოდს ბრალდებულის დაპატიმრებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

ვადები

დავალება:
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება/

- დაცული სფერო (იცავს თუ არა კონკრეტული უფლება იმ ქმედებას, რომელიც მოსარჩელეს შეეზღუდა?);

- ჩარევა დაცულ სფეროში (ხდება თუ არა სახელმწიფოს ქმედებით უფლების შეზღუდვა?);

- კანონით გათვალისწინებული (იყო თუ არა შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული?);

- ხელმისაწვდომობა (არის თუ არა კანონი ხელმისაწვდომი?);

- განჭვრეტადობა (არის თუ არა კანონი ნათელი?);

- ლეგიტიმური საჯარო მიზანი (შეესაბამებოდა თუ არა შეზღუდვა, კონკრეტული უფლების შემთხვევაში, ვარგის ლეგიტიმურ საჯარო მიზანს?);

- გამოსადეგობა (სახელმწიფოს ამ ქმედებით მიიღწევა თუ არა დასახული მიზანი?);

- აუცილებლობა (სახელმწიფოს ქმედება იყო თუ არა უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება მიზნის მისაღწევად?);

- თანაზომიერება ვიწრო გაგებით (სახელმწიფოს მიერ დასახული მიზანი უფრო მნიშვნელოვანია, თუ შეზღუდული უფლება?).

გთხოვთ, თქვენი საუბარი დააფუძნოთ ფაბულის (მოცემულობის /პირობის) სწორ და ნეიტრალურ გააზრებას, ლოგიკურ მსჯელობას, არგუმენტაციის სიმყარეს და დასაბუთებულ დასკვნებს. კონცენტრირებული იყავით დასმულ საკვანძო კითხვაზე პასუხის განსაზღვრაზე და არა თემის ირგვლივ ზოგად მსჯელობაზე.

გთხოვთ, ასევე გაითვალისწინოთ, რომ პირველ ეტაპზე დგინდება სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში დასაშვებობა, შემდეგ ეტაპზე განხილული უნდა იქნეს იყო, თუ არა ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, ბოლოს კი გაანალიზებული იქნეს სადავო ნორმის ფორმალური და მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან თანაზომიერების პრინციპის მიხედვით.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ საბოლოო დასკვნის შედგენას, რომელიც ცალსახად ასკვნის სადავო ნორმის (ან ნორმების) საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველად დასაშვებობას და კონკრეტულ, ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით ადგენს მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას. მნიშვნელოვანია, რომ საბოლოო დასკვნაში პასუხი უნდა იქნეს გაცემული ყველა საკვანძო კითხვაზე.
გისურვებთ წარმატებებს!